

შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31/12/2021

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

დასახელება ქართულად	Notes	31-Dec-21	31-Dec-20
ძირითადი საშუალებები, წმინდა	1	637,144	635,104
არამატერიალური აქტივები, წმინდა		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		637,144	635,104
მარაგები	2	930,070	945,258
წინასწარ გადახდები		-	-
საგადასახადო აქტივები		12,886	10,497
სავაჭრო მოთხოვნები	3	36,693	33,265
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	685,158	713,984
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
მოკლევადიანი აქტივები		1,664,807	1,703,005
სულ აქტივები		2,301,951	2,338,108
საწესდებო კაპიტალი		4,216	4,216
გადაფასების რეზერვი		-	-
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		1,205,667	1,027,998
სულ კაპიტალი		1,209,882	1,032,214
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი სესხები	5	295,290	358,352
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
მიღებული ავანსები		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	6	795,572	944,856
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,206	2,686
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,092,068	1,305,895
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,301,951	2,338,108

დირექტორი: ბესიკ ნატრაძე

ბ. ნატრაძე



შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31/12/2021

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარებში)

	Notes	31-Dec-21	31-Dec-20
რეალიზაცია	7	5,172,119	2,901,272
შემოსავალი რეალიზაციიდან		5,172,119	2,901,272
თვითღირებულება		(4,408,956)	(2,240,752)
თვითღირებულება		(4,408,956)	(2,240,752)
საერთო მოგება		763,164	660,520
სხვა შემოსავლები	8	26,187	26,784
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(337,133)	(280,678)
მიწოდების დანახარჯები		-	-
ცვთა და ამორტიზაცია		(2,025)	(2,101)
სხვა შემოსულობები/(ხარჯი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		450,192	404,525
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯები	10	(35,762)	(35,575)
სხვა ფინანსური მუხლები	11	(10,135)	(24,533)
ქონების გადასახადი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
მოგება დაბეგვრამდე		404,294	344,417
მოგების გადასახადი		(33,994)	-
წმინდა მოგება		370,300	344,417
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		370,300	344,417

დირექტორი: ბესიკ ნატრამე



შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31-12-2021 წელს

საკუთარი კაპიტალს ცვლადების ანგარიშგება საანგარიშგებო
წლსათვის, რომელც დასრულ 2021 წლს 31 დეკემბერს

7.

(თანხები მოცემულია ქართულ ლრში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიღიანი კაპიტალი
2020 წლს 31 დეკემბერი	-	1,032,214	1,032,214
წმინა მოგება		370,300	370,300
სხვა სრულ შემოსავალი	-	-	-
პერიოდს სრულ შემოსავალი	-	370,300	370,300
გაცემული დივიდენდი		(192,631)	(192,631)
საწესდებო კაპიტალს ზრდა/შემცირება	-		
2021 წლს 31 დეკემბერი		1,209,883	1,209,883

დირექტორი: ბესიკ ნატრაძე



"B.M.T." LLC

Date: 31/12/2021

Statements of Cash flows (SOCF)

(amounts are presented in Georgian lari if not otherwise stated)

შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31/12/2021

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

31-Dec-21

Cash flows from operating activities	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
Cash received from clients	მომხმარებლისგან მიღებული ფული	6,097,678
Cash received from rent	იჯარიდან მიღებული ფული	33,990
Cash received from other sources	სხვა სახით შემოსული ფული	
Cash paid for goods and services	საქონლის და მომსახურების შესაძენად გადახდილი ფული	(4,687,972)
Cash paid for salaries	ხელფასებისთვის გადახდილი ფული	(248,378)
Cash paid for rent	იჯარაზე გადახდილი ფული	
Cash paid for Commission fee	საკომისიოს სახით გადახდილი ფული	
Taxes paid	გადახდილი გადასახადები	(909,706)
Cash paid for other administration costs	სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი ფული	(40,715)
Cash paid in another way	სხვა სახით გასული ფული	-
Net cash from / (used for) operating activities	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	244,898
Corporate Income tax paid	გადახდილი მოგების გადასახადი	
Cash flows from investing activities	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
Cash received from sale of PP&E	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	
Cash paid for acquisition and construction of PP&E	ძირითადი საშუალებების შესაძენად ან შესაქმენლად გადახდილი ფული	(2,407)
Net cash provided from investing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,407)
Cash flows from financing activities	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
Loans received	სესხის აღება	(57,947)
Loans returned	სესხის დაფარვა	
Interest income	საპროცენტო შემოსავალი	(20,235)
Interest paid	სესხის პროცენტის გადახდა	(183,000)
dividend paid	დივიდენდის გადახდა	
Net cash provided from financing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(261,182)
Net increase (decrease) in cash and cash equivalents	ფულის წმინდა ზრდა (კლება)	(18,691)

შპს „ბ.მ.ტ“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	8
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
5. ძირითადი საშუალებები.....	18
6. მარაგები.....	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	20
9. მოკლევადიანი სესხი.....	20
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	20
11. რეალიზაცია.....	20
12. სხვა შემოსავლები.....	21
13. ადმინისტრაციული ხარჯები.....	21
14. ფინანსური ხარჯები.....	21
15. სხვა ფინანსური მუხლები.....	21
16. მოგების გადასახადი	22
17. ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები.....	22

ფორმა N 1 კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31/12/2021

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

დასახელება ქართულად	Notes	31-Dec-21	31-Dec-20
ძირითადი საშუალებები, წმინდა	1	637,144	635,104
არამატერიალური აქტივები, წმინდა		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		637,144	635,104
მარაგები	2	930,070	945,258
წინასწარგადახდები		-	-
საგადასახადო აქტივები		12,886	10,497
სავაჭრო მოთხოვნები	3	36,693	33,265
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	685,158	713,984
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
მოკლევადიანი აქტივები		1,664,807	1,703,005
სულ აქტივები		2,301,951	2,338,108
საწესდებო კაპიტალი		4,216	4,216
გადაფასების რეზერვი		-	-
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		1,205,667	1,027,998
სულ კაპიტალი		1,209,882	1,032,214
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი სესხები	5	295,290	358,352
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
მიღებული ავანსები		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	6	795,572	944,856
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,206	2,686
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,092,068	1,305,895
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,301,951	2,338,108

დირექტორი: ზესიკ ნატრამ

ფორმა N 2 - სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს "ზ.მ.ტ."

თარიღი: 31/12/2021

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

	Notes	31-Dec-21	31-Dec-20
რეალიზაცია	7	5,172,119	2,901,272
შემოსავალი რეალიზაციიდან		5,172,119	2,901,272
თვითღირებულება		(4,408,956)	(2,240,752)
თვითღირებულება		(4,408,956)	(2,240,752)
საერთო მოგება		763,164	660,520
სხვა შემოსავლები	8	26,187	26,784
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(337,133)	(280,678)
მიწოდების დანახარჯები		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,025)	(2,101)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		450,192	404,525
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯები	10	(35,762)	(35,575)
სხვა ფინანსური მუხლები	11	(10,135)	(24,533)
ქონების გადასახადი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
მოგება დაბეგვრამდე		404,294	344,417
მოგების გადასახადი		(33,994)	-
წმინდა მოგება		370,300	344,417
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		370,300	344,417

დირექტორი: ბესიკ ნატრაძე

ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

შპს "ბ.მ.ტ."

თარიღი: 31-12-2021 წელი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება საანგარიშგებო
წლისათვის, რომელიც დასრულა 2021 წლის 31
დეკემბერს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებ ო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი			
	-	1,032,214	1,032,214
წმინა მოგება		370,300	370,300
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	370,300	370,300
გაცემული დივიდენდი		(192,631)	(192,631)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		
2021 წლის 31 დეკემბერი		1,209,883	1,209,883

დირექტორი: ზესიკ ნატრაძე

ფორმა N4 - ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.

"B.M.T." LLC

შპს "ბ.მ.ტ."

Date: 31/12/2021

თარიღი: 31/12/2021

Statements of Cash flows (SOCF)

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(amounts are presented in Georgian lari if not otherwise stated)

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

		31-Dec-21
Cash flows from operating activities	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
Cash received from clients	მომხმარებლისგან მიღებული ფული	6,097,678
Cash received from rent	იჯარიდან მიღებული ფული	33,990
Cash received from other sources	სხვა სახით შემოსული ფული	
Cash paid for goods and services	საქონლის და მომსახურების შესაძენად გადახდილი ფული	(4,687,972)
Cash paid for salaries	ხელფასებისთვის გადახდილი ფული	(248,378)
Cash paid for rent	იჯარაზე გადახდილი ფული	
Cash paid for Commission fee	საკომისიოს სახით გადახდილი ფული	
Taxes paid	გადახდილი გადასახადები	(909,706)
Cash paid for other administration costs	სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი ფული	(40,715)
Cash paid in another way	სხვა სახით გასული ფული	-
Net cash from / (used for) operating activities	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	244,898
Corporate Income tax paid	გადახდილი მოგების გადასახადი	
Cash flows from investing activities	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
Cash received from sale of PP&E	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	
Cash paid for acquisition and construction of PP&E	ძირითადი საშუალებების შესაძენად ან შესაქმენლად გადახდილი ფული	(2,407)
Net cash provided from investing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,407)
Cash flows from financing activities	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
Loans received	სესხის აღება	

Loans returned	სესხის დაფარვა	(57,947)
Interest income	საპროცენტო შემოსავალი	
Interest paid	სესხის პროცენტის გადახდა	(20,235)
dividend paid	დივიდენდის გადახდა	(183,000)
Net cash provided from financing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(261,182)
Net increase (decrease) in cash and cash equivalents	ფულის წმინდა ზრდა (კლება)	(18,691)
Cash and cash equivalents at the beginning of the period	ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	713,984
Exchange rate difference	სავალუტო კურსის ეფექტი	(10,135)
Cash and cash equivalents at the end of the period	ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	685,158

დირექტორი: ბესიკ ნატრაძე

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბ.მ.ტ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 16 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405080610.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რკინის ნაწარმის იმპორტს და რეალიზაციას.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქთბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ, N29, ბ.8.

2021 წლის 1 იანვარსა და 31 დეკემბერს კომპანიის დამფუძნებელია : ბესიკ ნატრაძე (პ/ნ 16001002744) -100 % წილის მფლობელი.

კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორი არის: ბესიკ ნატრაძე (პ/ნ 16001002744)

ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე.

კომპანიამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას შესადარისი ინფორმაციით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას შესადარისი ინფორმაციის გარეშე ; 2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, შესადარისი ინფორმაციის გარეშე და შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის საანგარიშგებო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა

ძირითადი საადრიცხო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

➤ ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის

თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

➤ **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

➤ **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

➤ **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტებში.

➤ **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის

გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

➤ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის

საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

➤ ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

➤ ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

➤ გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

➤ ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	10- 30 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

➤ არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

➤ მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველდღიურად, კონკრეტული საქმიანობის დასრულებისას, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

➤ დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

➤ შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

➤ ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

➤ სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

➤ მოგების

გადასახადი

- მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

➤

- „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

➤

- სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით.

➤ **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

➤ **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით); კანონმდებლობიდან; ან სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

➤ **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
პერიოდი	დოლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

➤ **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

➤ **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი

ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

4. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1 ძირითადი საშუალებები, წმინდა

	31-Dec-21	31-Dec-20
მიწა	621,120	621,120
შენობა-ნაგებობა	12,084	10,174
არამატერიალური აქტივები (კომპ. პროგრამა)	143	286
კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	3,797	3,523
	637,144	635,104

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვლირებულების მეთოდით და კომპანიას აქამდე არ გამოუყენებია გადაფასების მიდგომა. თითოეული ჯგუფისათვის (გარდა მიწისა) მენეჯმენტი განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და სალიკვიდაციო ღირებულებას, რაც წარმოადგენს ფინანსური ცვეთის კალკულაციის საფუძველს.

2 მარაგები

	31-Dec-21	31-Dec-20
მარაგები მიწოდებისთვის საკანცელარო და სხვა საოფისე მასალები	930,070	945,258
	945,258	945,258

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი განსაზღვრულია საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და განკუთვნილია მიწოდებისთვის. იმისათვის, რომ ბალანსის შედგენის თარიღისათვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესახებ ჩანაწერები და ნაშთები შეესაბამებოდეს რეალობას, კომპანია მიმართავს პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდს. ასევე შესწავლილია მარაგების ბრუნვადობა, რამაც უნდა გამოავლინოს გამოუყენებელი ან/და მოძველებული პოზიციები და მოხდეს შესაბამისი რეზერვის მუხლის გაჩენა ბალანსში, თუმცა მიმდინარე ანგარიშგებაში ამგვარი მუხლის საჭიროება არ დამდგარა.

3 სავაჭრო მოთხოვნები

	31-Dec-21	31-Dec-20
სავაჭრო მოთხოვნები	36,693	33,265
	33,265	33,265

სავაჭრო მოთხოვნები გენერირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგად. მომხმარებლების ანგარიშები მიეკუთვნება სავაჭრო მოთხოვნებს, ან მიღებულ ავანსებს იმის მიხედვით თუ მათი საბოლოო ნაშთი არის დადებითი ან უარყოფითი რიცხვი. ამ მუხლში გაერთიანებული ყველა თანხა არის მოკლევადიანი და მათი დაფარვიანობის ვადა არ აღემატება 1 წელს. ასევე არ მოიცავს ისეთი სახის სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთან დაკავშირებითაც მენეჯმენტს ექნებოდა მოლოდინი რომ საექვო გახდებოდა მათი დაფარვა. აქედან გამომდინარე არ დგას საჭიროება შეიქმნას ანარიცხების შესაბამისი ანგარიში.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-Dec-21	31-Dec-20
ფული ბანკში	126,058	171,885
ფული სალაროში	559,100	542,099
	685,158	713,984

კომპანიის ფულადი სახსრების სტრუქტურა მოიცავს საბანკო ანგარიშებზე დეპონირებულ სახსრებსა და სალაროში ქემის სახით არსებულ ნაშთს. ბალანსის შედგენის თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები.

5 მოკლევადიანი სესხები

	31-Dec-21	31-Dec-20
საბანკო სესხი	295,290	358,352
	295,290	358,352

მოკლევადიანი სესხის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის წარმოადგენს სს პროგრედიტ ბანკისგან მიღებულ ფინანსურ სახსრებს მიწის შესაძენად. საპროცენტო განაკვეთი არის მცოცავი და ანგარიშების წარდგენის თარიღისთვის შეადგენს 5 %-ს.

6 სავაჭრო ვალდებულებები

	31-Dec-21	31-Dec-20
სავაჭრო ვალდებულებები სხვა	795,572	940,641
	795,572	940,641

სავაჭრო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი მოდის რამოდენიმე მომწოდებელზე, რომელებიც წარმოადგენენ კომპანიის ძირითად პარტნიორებს ამ მიმართულებით. ამ ნაწილში კომპანიის რისკი საკმაოდ მაღალია, რამდენადაც მიჯაჭვულობის ხარისხი არის მნიშვნელოვნად მაღალი.

7 რეალიზაცია

	31-Dec-21	31-Dec-20
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	5,172,119	3,149,839
	5,172,119	3,149,839

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რკინის სამშენებლო მასალების მიწოდება. შემოსავლები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით.

8 სხვა შემოსავლები

	31-Dec-21	31-Dec-20
საიჯარო შემოსავალი	26,187	26,784
სხვა	-	-
	26,187	26,784

სხვა შემოსავლები გენერირდება საიჯარო სახის შემოსავლებისგან, რომელიც არ წარმოადგენს ძირითად საქმიანობას და კომპანიისთვის დამხმარე ხასიათისაა.

9 ადმინისტრაციული ხარჯი

	31-Dec-21	31-Dec-20
შრომის ანაზღაურება	320,274	266,228
საკომუნიკაციო ხარჯები	2,666	1,355
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	14,194	13,095
	337,133	280,678

10 ფინანსური ხარჯები

	31-Dec-21	31-Dec-20
საპროცენტო ხარჯები	20,235	(29,073)
ბანკის საკომისიო	15,527	(21,502)
სხვა საკომისიო ხარჯი		
	35,762	(50,575)

11 სხვა ფინანსური მუხლები

	31-Dec-21	31-Dec-20
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	1,389	
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(11,524)	(24,533)
	(10,135)	(24,533)

12 მოგების გადასახადი

	31-Dec-21	31-Dec-20
მოგების გადასახადი	(33,994)	-
	-	
	(33,994)	(24,533)

მოგების გადასახადის ხარჯი მიეკუთვნება, 2021 წელს დამფუძნებელზე დივიდენდის სახით განაწილებულ თანხას.

5. ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი ვიდრე კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანია აღიარებს საპროცენტო რისკს შეწონილი მაჩვენებლით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა. საანგარიშო პერიოდისათვის კომპანია ლიკვიდურობის რისკის წინაშე არ დგას.